ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47.47203435**
თარიღი:**08/12/2020**

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N-8

დ.ჩოხატაური 24 ნოემბერი 2020 წელი.

<u>თავმჯდომარეობდა:</u> შოთა ჩხიკვაძე

ესწრებოდნენ: გივი თავაძე, ზვიადი წეროძე, ლევან ლომინეიშვილი, ვლადიმერ სიხარულიძე.

არ ესწრებოდნენ:ზვიად მამალაძე, კლოდი მდინარაძე, დავით ბერძენიშვილი, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული:

ზაზა ოსეფაიშვილი - *წამყვანი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის საკითხებში;*

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ”.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> გივი თავაძემ, ზვიად წეროძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 5

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 5)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ”.

მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

I საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ
მომხსენებელი:ზაზა ოსეფაიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ლევან ლომინეიშვილმა,ზვიად წეროძემ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 5

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 5 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

ცნობად იქნა მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ".

<u>მოისმინეს :</u>

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ".
მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზაზა ოსეფაიშვილმა კომისიას წარუდგინა "ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 5

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 5 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა "ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი და გადაწყვიტა აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით (თან ერთვის), განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

1. დაბის განვითარების გენერალური გეგმის პროექტირებისთვის 2021 წლის ბიუჯეტში თანხების

მოძიების და ასახვის შესახებ.

2 ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონის და მიმდებარედ არსებული სპორტული კომპლექსის სარეაბილიტაციოდ პროექტირებისთვის 2021 წლის ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება.

3.აგრარულ ბაზართან დამაკავშირებელი შემოვლითი გზის (რამიშვილის ქუჩა) დასრულებისათვის პროექტირების თანხების მოძიება და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შოთა ჩხიკვაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს წევრი (მაჟორიტარი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი